საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №251
2020 წლის 8 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:
1. დანართი N2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0980 – სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„69	0981	სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1289	4929	ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება
1290	4930	ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება
1291	4931	ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება
1292	4932	ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება
1293	4933	ა(ა)იპ ქალაქ კასპის ბიბლიოთეკა
1388	5028	ა(ა)იპ „კასპის სპორტკომპლექსი““;

გ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5130 – ა(ა)იპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1491	5131	ააიპ „კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება“
1492	5132	ააიპ „კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება“
1493	5133	ააიპ „ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება““.

2. დანართ N3-ში - ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი - 7339 - „სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოძრავი ქონების რეალიზაციისა და გაწეული მომსახურების საფასური“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის შემოსულობის სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა“	7340“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**